საექსპერტო ბიურო

(ი/მ - „ოთარ ბახტაძე“ კოდი: 0103007097 რეგისტ. №B1006816)

ქ.თბილისი, გ,ზაზიაშვილის ქ.№13ა, მობ: 599 33 23 79

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი მიხეილ გრიგოლაშვილის ქ. №1-ში (ს/კ 01.19.24.007.047) ასაშენებელი სასაწყობო შენობების შესაძლო უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენაზე არსებულ იგივე დანიშნულების შენობებზე.

განიხილება ასაშენებელი ორი ერთსართულიანი სასაწყობო შენობა, რომელთა გენგეგმის თანახმად მჭიდროდ განლაგებულნი იქნებიან არსებულ შენობებთან, მათ შორის გამყოფია მხოლოდ ტემპერატურულ-დეფორმაციული ნაკერები.

არსებულსა და ასაშენებელი შენობების კონსტრუქციული სისტემა მსგავსია, კერძოდ: რკინაბეტონის საძირკვლები, ლითონის კარკასი გადახურვის ფერმები და კავშირები, მსუბუქი გადახურვა.

სამშენებლო მოედანი ხასიათდება საშუალო სირთულით, ფუძედ გამოყენებულია მყარი ქვიშნარები საანგარიშო წინაღობით 2.0კგძ/სმ^2.

გარემოებები რომელნიც საფსებით გამორიცხავენ უარყოფით ზეგავლენას ასაშენებელსა და ამჟამად მდებარე შენობებს შორის

1. ორივესათვის ერთგვაროვანი და საკმაოდ მზიდუნარიანი ქანები;
2. მარტივი გაანგარიშება ვერტიკალური დატვირთვებისა კოლონაზე და ფუძის მზიდუნარიანობა: წერტილოვანი საძირკვლების წონა – 1.8ტ. გრუნტის წონა – 0.8ტ.
3. სასარგებლო დატვირთვა იატაკზე – 0.8ტ.
4. თოვლის დატვირთვა 5.71X6.16X50=1.76ტ.
5. სვეტისა და წამწის წონა ნახევარი მალიდან 2-3 ღერძებს შორის უდრის 0.91ტ. ჯამური დატვირთვა განაპირა კოლონაზე შეადგენს 6.0ტ. ფუძის მზიდუნარიანობა 1 გრძივ მეტრზე თუ საძირკვლის საანგარიშო სიგანეა 1.2მ



შეადგენს 24ტ/მ^2, რაც ოთხჯერ აღემატება მომქმედ დატვირთვას და მაშასადამე სრულად გამორიცხავს შესაძლო დეფორმაციებს.

6. აგრეთვე არსებულ შენობებს განცდილი აქვთ პირველადი უმცირესი კუმშვადი დეფორმაციები და იმყოფებიან სტაბილურ მდგომარეობაში.
7. ასაშენებელი შენობების ტექნოლოგიური პროცესი არ ითვალისწინებს დინამიკურ ზემოქმედებას.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვადასტურებთ, რომ არანაირ უარყოფით ზემოქმედებას ასაშენებელი შენობებისა არსებულ შენობაზე ადგილი არ ექნება.

შემდგომი საექსპლუატაციო საიმედოობის უზრუნველსაყოფად საჭიროა საექსპლუატაციო პირობების შესრულება, კერძოდ მათი დაცვა ფუძეში ტექნოგენური და ატმოსფერული წყლების გავრცელებისაგან.

ექსპერტი /ო. ბახტაძე/

30.04.2024წ.

საექსპერტო ბიურო

(ი/მ - „ოთარ ბახტაძე“ კოდი: 0103007097 რეგისტ. №B1006816)

ქ.თბილისი, გ,ზაზიაშვილის ქ.№13ა, მობ: 599 33 23 79

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი მიხეილ გრიგოლაშვილის ერთსართულიანი სასაწყობო შენობის კონსტრუქციულ ნაწილზე

განიხილება სასაწყობო შენობა, რომლის ძირითადი კორპუსის ზომებია 28.96X22.84მ ხოლო დამხმარისა – 22.39X15.58მ.

კონსტერუქციული საანგარიშო სისტემა ანალოგიურია და წარმოდგენილია ლითონის კარკასითა და დამხმარე კონსტრუქციებით, კერძოდ გადახურვის ფერმები, გრძივები, კავშირები და სხვადასხვა ელემენტები. საანგარიშო მოდელის მზიდი ელემენტების კვეთები და დაძაბულ-დეფორმაციული სივრცითი სურათი მიღებულია ავტომატიზირებული საანგარიშო კომპლექსული პროგრამის მეშვეობით. (LIRA-SAPR2021).

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება II საშუალო სირთულის კატეგორიას. გამოკვეთილია მყარი ქვიშნარი და ნახევრადმყარი ძლიერ დამარილებული თიხნარი გრუნტები.

პროექტის შესწავლის ტექნიკური ბარათი

1. რკინაბეტონის ლენტური საძირკვლები დაფუძნების ნიშნულით -1.50 განლაგებულნი არიან პერიმეტრულ ღერძებზე და შუა „2” ღერძის გასწვრივ. მათი საანგარიშო სისქე და სიგანეა 400X1200მმ. და არმირებულნი არიან ორმხრივი ბადეებით. ლითონის სვეტების საყრდენი დგარების სისქე და სიმაღლეა 300X800მმ. და არმირებულნი არიან 14მმ ორმხრივი ბადეებით.
2. ლითონის სვეტები ს-1 (12ც), ს-2 (3ც), ს-3 (1ც), ს-4 (1ც) მილკვადრატებისა კვეთით 150X150X5მმ. მათი მარკირების სხვაობა გამოწვეულია საყრდენი კვანძების სხვაობით.



3. საყრდენი კვანძები იქმნება საყრდენი ფირფიტებისაგან (სხვადასხვა ფორმის) ქანჩებით ჩამაგრებულნი 18მმ ანკერებთან და გაძლიერებულნი მიდუღებით ოთხმხრივი ტრავერსებით.
4. გადახურვა 4.1 ნიშნულზე **A,B,C,D,E** ღერძებზე ეწყობა სხვადასხვა სიგრძის ლითონის ფერმებისაგან, შედგენილნი მილკვადრატებით, კერძოდ: ზედა და ქვედა სარტყელი – 150X150X5მმ ირიბნები და დგარები – 100X100X4მმ. სვეტსა და ფერმის საყრდენი დგარი ძლიერდება სამკუთხა 100მმ სისქის ფირფიტით.
5. გრძივების მილკვადრატების კვეთია 140X80X4მმ, მათი დაშორების ბიჯია 1375-1365მმ.
6. ვერტიკალური დიაგონალური კავშირები ეწყობა **A-B** და **D-E** მალში, აგრეთვე 1-1^1, 1-2 და 2^1-3 მალებში.

ნაჩვენებია კავშირების გადაბმვის კვანძები ფირფიტების საშუალებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დამხმარე შენობა განსხვავდება ძირითადისაგან გაბარიტული ზომებით და ლენტური საძირკვლის სისქით (300მმ). დანარჩენი კონსტრუქციული ელემენტები იგივე კვეთისაა.

დასკვნა

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შერულებულია კარგ დონეზე. მიღებული საანგარიშო კვეთები და სისტემის კონსტრუქციებით შექმნილია საკმაოდ მყარი სივრცითი ხისტი და ამავდროულად მსუბუქი მასებიანი შენობა. უზრუნველყოფილია მისი სეისმომედეგობა და საექსპლუატაციო საიმედოობა.

ექსპერტი  /ო. ბახტაძე/

30.04.2024წ.